საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წიგნის ...

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კ. ...
4 „ 15 „ ...
სამგლოვიარო განცხადებ...
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 „ 1 მ. —

№ 580 სამშაბათი, სექტემბრის 25 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 200,000

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 15-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად . . . . . . 4.000.000 მ.

დაწესებულებათა და კერძო პირთათვის . . . . . 5.000.000 „

ცალკე ნომერი . . . . . 200.000 „

## ევროპის კონტინენტზედ

ევროპის კონტინენტის პოლიტიკური ვითარება დღითი დღე მწვავდება. კლასთა ბრძოლის ახალ-ახალი ეპიზოდები თანდათან ფართოვდება, რევოლიუცია-რეაქციის დაპირისპირება იღებს მწვავე ხასიათს. მუშათა მოძრაობის შენელება, რომელსაც ადგილი ქონდა რევოლიუციონურ გამოსვლების დამარცხების შემდეგ, კვლავ წყდება. იწყება ახალი რევოლიუციონური ტალღა.

ფაშისტური მოძრაობის გაცხოველება და მთელ რიგ ქვეყნებში მისი ზრდა ნიშანია იმ შინაგანი წინააღმდეგობის გაღრმავების, რომელშიაც იმყოფება დღეს ევროპიული სახელმწიფონი. ვერსალის ზავის მიერ შექმნილი ანარქია და გამოუალი რკალი კიდევ მეტად აძლიერებს პოლიტიკურ-ეკონომიურ კრიზისებს.

ბულგარეთის ამბები, თავდასხმა კომუნისტურ პარტიაზედ, დატუსაღება მისი წევრების, პარტიის გამოცხადება კანონს გარეშე. ესპანეთის „რევოლიუცია“ და დე-რივერას ავანტიურა. გერმანეთში გაფიცვების ზრდა, რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება, რუჰის საკითხი და სხ.. ილიუსტრაცია იმ საერთო ნაკადის, რომელიც პოლიტიკურ კრიზისების სახით მიმდინარეობს ევროპის სინამდვილეში.

ამ რიგად ევროპის პოლიტიკური ცხოვრების მყუდროება არა სჩანს. ყოველი ახალი დღე მოძრაობის განვითარების ნათელყოფაა, ყოველი ახალი მომენტი ახალ პოლიტიკურ სიურპრიზებს აყენებს.

ბურჟუაზია ყოველი ფრონტით ცდილობს თავის არსებობის შენარჩუნებას. იგი აგროვებს ძალებს, ანვითარებს სამხედრო საქმეს, ქმნის საჰაერო ფლოტს, თოფს ქვეშ აყენებს მრავალრიცხოვან კადრს, საომარ მდგომარეობის პირობების შექმნით სურს თავის არსებობის უზრუნველყოფა. ეს კი თავისი მხრით ანგრევს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას. ქვეყნებს ხელიდან აცლის სამუშაო ენერგიას, დიდდება სახელმწიფო ხარჯები, ხდება ბიუჯეტების დატვირთვა სამხედრო ანგარიშებით, იზრდება გადასახადები, რომელიც მშრომელ ხალხს აწვება ტვირთად, ანორმალური პირობებში ემწყვდევა მთელი სამეურნეო ცხოვრება.

ეს საერთო ანარქია და ქაოსი ხდება მრავალი ავანტიურების მიზეზად.

ბურჟუაზია ველარ ასრულებს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ვერავითარ ფუნქციას, იგი ხელის შემშლელი ელემენტია, რომელიც ღრღნის მსოფლიოს მთლიანობას და მშვიდობიანობის ნაცვლად ამეფებს ომებს, ანარქიას, არა მარტო სამხედრო ოპერაციების სახით, არამედ ფინანსიურ-ეკონომიური და სოციალ-პოლიტკური დისჰარმონიის შექმნით.

ისტორიის სარბიელზედ ახალი ძალები გამოდიან. მუშათა მოძრაობის განვითარება ხელსაღებია. ამ მოძრაობამ უნდა შექმნას პირობები სოციალ-პოლიტიკური აღმშენებლობისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გამტკიცებისა. ბურჟუაზიამ მთელი მე-19 საუკუნის განვითარებაში აწარმოვა დათმობის პოლიტიკა. მუშათა კანონმდებლობა, მუშათა კავშირების გაძლიერება, მუშათა გაფიცვების და სხვა ბურჟუაზიას აიძულებდა რეფორმებისათვის, დათმობისათვის. დღეს მდგომარეობა შეცვლილია. უკვე რადიკალურადაა დაპირისპირებული ორივე ბანაკი და ბრძოლაა გაჩაღებული თვით ძალა-უფლების დაპყრობისათვის. ამ შემთხვევაში რეფორმების გზა, გზა, რომელზედაც არის ზემდგარი მე-II ინტერნაციონალი, არსებითად ყალბი და მიუღებელია. იგი რეაქციის გამაგრების დაყრდენად არის ქცეული, ამიტომ არის, რომ გამოფხიზლებული მუშათა კლასი გაურბის რეფორმისტთა და ოპორტიუნისტთა პოლიტიკას. კაპიტალიზმის სამსახურით კაპიტალიზმის დამხობა აღარ სწამს რევოლიუციონურ მუშათა კლასს.

ბურჟუაზიასთან თანამშრომლობით ბურჟუაზიის დამარცხება გამოჩერჩეტებულ ფილისტერთა ლაყბობათ იქცა.

ჭეშმარიტად დიდი მოვლენების წინაშე ვდგევართ. ჩვენ გვიახლოვდება ახალ ახალი ტალღები მოძრაობისა, ჩვენ უახლოვდებით რევოლიუციის რკალის გაფართოვებას.

ასეთია დღეს პოლიტიკური ნიუანსები. ასეთია ძალთა რეალი განწყობილება.

## დღიური

— საქართველოს ობსერვატორიის ცნობები ახალი მიწის ძვრების შესახებ.

— ვილნოს საკითხი გადაეცემა ჰააგის ტრიბუნალს.

— ცნობები იაპონიის ზარალის შესახებ გადაჭარბებულია.

— იაპონიამ განაიარაღა 9 სამხედრო გემი.

— გერმანიის კომპარტია მოუწოდებს პროლეტარიატს მუშათა და გლეხთა მთავრობის შესაქმნელად ბრძოლისაკენ.

— ბალკანეთზედ გამწვავებული მდგომარეობა გრძელდება.

## საქართველოს ფიზიკური ობსერვატორიისაგან.

ა. წ. 22—23 სექტემბერს საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია სამი მიწის ძვრა.

I. 22 სექტემბრის 17 საათსა და 4 წ. უმნიშვნელო მიწის ძვრა ეპიცენტრალური მანძილით 300 კილომეტრამდე (ალბად შემახას რაიონში).

II. ძლიერი მიწის ძვრა 22 სექტ. 23 საათსა და 51 წ. ეპიცენტრალური მანძილით 1700 კილომეტრამდე (ალბად თურქესტანის მხარეში)

III. უმნიშვნელო მიწის ძვრა 23 სექტ. დილის 6 საათსა და 30 წ. იმავე რაიონში, როგორც მეორე.

მეორე მიწის ძვრას, უნდა ვიფიქროთ, მოჰყვა ნგრევა.

საქ. ფიზ. ობსერვატორიის გამგე პროფ. **დიდებულიძე.**

## რადიო-დეპეშები

**„ზაკროსტას“ ცნობები 24 სექტემბრიდან.**

**გერმანიის ამბები.**

ფრანგებმა დასცალეს ამ დღეებში დაჭერილი კოშკი მანგეიმში.

მთელი საფრანგეთის პრესა აღნიშნავს პუანკარეს გამარჯვებას ბალდვინთან თათბირში. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია მათავრობის კრიზისი, თუ ბალდვინმა უარი სთქვა თათბირის დროს ინგლისის უკანასკნელ ნოტაზე და შესცვალა ინგლისის პოლიტიკა სარეპარაციო საკითხში.

ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი ადასტურებს ცნობას პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის საკითხზედ შტრეზემანსა და საფრანგეთ-ბელგიის ელჩებს შორის მოლაპარაკების შესახებ. ოფიციალური ცნობები კი ჯერ არ არის.

ესსენში უცნობმა პირებმა ააფეთქეს რკინის გზის ლიანდაგი. ზარალი დიდია. მსხვერპლი არ მოჰყოლია.

გერმანიის კომპარტიის ცეკამ მოწოდებით მიმართა გერმანიის პროლეტარიატს. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მთავრობა თანდათანობით ამზადებს რურის ოლქში პასიურ წინააღმდეგობის მოსპობას, რაც დღევანდელს პირობებში ნიშნავს საფრანგეთის კაპიტალის გაბატონებას და მშრომელთა მასების დამონებას. მოწოდება ერთად-ერთ გამოსავალს ხედავს მუშათა და გლეხთა მთავრობის დაარსებაში, რისთვისაც მოითხოვს საპროტესტო მასიურ დემონსტრაციებს, ხოლო აფრთხილებს ფაშისტების მხრივ მოსალოდნელ პროვოკაციისაგან. მოწოდება მორიგ ამოცანად სახავს მასიურ პოლიტიკურ გაფიცვების მომზადებას. მუშათა და გლეხთა მთავრობის შესაქმნელად, გერმანია-რუსეთის ვიწრო კავშირს და რურის საკითხის გადაწყვეტას ბურჟუაზიის ანგარიშზედ.

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბალდვინი მოახსენებს კაბინეტს პუანკარესთან თათბირის შედეგს.

თათბირის შედეგები პარიზში არ გამოქვეყნდება, ვიდრე ბალდვინის მიერ აღებული ახალი კურსი არ მიიღებს ინგლისის კაბინეტის სანქციას.

„ერთა ლიგის“ სხდომაზედ ჟენევაში ნანსენმა მოითხოვა საკონტრიბუციო საკითხის დაუყოვნებლივი გადაწყვეტა, რადგანაც მდგომარეობა დღითი-დღე კრიტიკული ხდება.

ლონდონში დაბრუნებისას ბალდვინმა უარი სთქვა პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუზედ.

„ფოსსიშე ცეიტუნგი“ სწერს, რომ გერმანიას აღარარა დარჩენია გარდა იმისა, რომ გააუქმოს დეკრეტი პასიურ წინააღმდეგობის შესახებ.

საქსონიის სხვა და სხვა ადგილებიდან და კერძოდ დრეზდენიდან, იუწყებიან ახალ მღელვარების შესახებ უსურსათობის ნიადაგზედ.

რურის საკითხი მომწიფებულად ითვლება. საფრანგეთი წინანდებურად უარზეა დაიწყოს მოლაპარაკება, ვიდრე წინააღმდეგობა არ შესწყდება. გერმანია მზადაა დააკმაყოფილოს იგი, რადგანაც სხვა გამოსავალს ვერა ხედავს. საკითხი საბოლოოდ გადასწყდება 24 სექტემბერს, კაბინეტის თათბირზედ.

### ს. ს. რ. ა. ცნობის გარშემო

**პარიზი.** საფრანგეთის მემარცხენეთა ორგანო „ენფორმასიონი“ აღნიშნავს რუსეთიდან ევროპაში პურის გატანის მნიშვნელობას, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს ცვლილება საერთაშორისო ეკონომიურ წონასწორობაში, რადგანაც შეამცირებს ევროპის დამოკიდებულებას ამერიკისაგან.

**პარიზი.** რუსეთში ჩამოსულმა საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრმა კაშენმა „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი. თანაგრძნობით ეკიდება რუსეთის რევოლიუციას.

რეფორმისტების და სინდისალისტების სხვა და სხ. ჯგუფები ეწინააღმდეგებიან ს. ს. რ. ა. მაგრამ მათ დიდი გავლენა არა აქვთო.

**ლონდონი.** ინგლისის პარლამენტის წევრმა ასკვიტის ჯგუფის წარმომადგენელმა, ფრანგრეიმ „როსტას“ თანამშრომელს განუცხადა, რომ რუსეთთან ევროპის ურთიერთობის დამყარებას ხელს უშლიდა ყალბი ინფორმაცია, რომელიც იქ ვრცელდებოდა. რაც უფრო მალე გაიგებენ, თუ რა ჩქარის ტემპით მიდის რუსეთის აღორძინება, მით უფრო ჩქარა დამყარდება მეგობრული ურთიერთობა რუსეთ ევროპის შორის.

### მუშათა მოძრაობა

**ვარშავა.** დანციგში ნავთსადგურის გაფიცულმა მუშებმა ჩაშალეს ნაციონალისტების კრება. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე მუშა.

**ვენა.** რუმინეთის პროფკავშირთა ყრილობა კლაუზენბურგში მეტად აღელვებულად ჩატარდა. სოციალ-დემოკრატებმა მთელი თავის ძალების მობილიზაცია მოახდინეს, რათა გამარჯვება ამსტერდამის ინტერნაციონალს ხვდომოდა წილად. თავმჯდომარემ, სოციალ-დემოკრატმა უარი სთქვა გამოექვეყნებინა წითელი პროფინტერნის მომხრე ბულგარეთის პროკავშირების წერილი. გამოქვეყნების მომთხოვნი კომუნისტი პაუკერი გამორიცხეს კონგრესიდან და დაატუსაღეს. გაანთავისუფლეს მხოლოდ უმრავლესობის პროტესტის შემდეგ. საერთოდ პოლიცია და სოციალ-დემოკრატები მთელი ყრილობის განმავლობაში შეთანხმებულად მუშაობდნენ. მიუხედავად ასეთი ტერორისა ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ ილაპარაკეს 27.000 ხმის წარმომადგენელმა დელეგატემა, ამსტერდამთან შეერთების მომხრე აღმოჩნდა 25,000 ხმის წარმომადგენელი. ასეთი შედეგების უკმაყოფილო (სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს კომუნისტების გაძევება, რაც პოლიციამ მაშინვე შეასრულა. ბევრი კომუნისტი, და მათ შორის პაუკერიც დატუსაღებულია. ამრიგად ყრილობა დამთარდა უშედეგოდ.

**პარიზი.** პორტუგალიაში გაძლიერდა კომსომოლის დევნა. უმრავლესობა მათგანი დატუსაღებულია და აწამებენ. სასამართლომ თუნდაც გაამართლოს, მათ მოელით აფრიკის ახალშენებში გადასახლება.

**ვენა.** რუმინეთში ძლიერდება კომუნისტების დევნა.

### ბალკანეთზე

სამხრეთ სლავის ცნობით რევოლიუციონური მოძრაობა მოედვა მთელს ჩრდილოეთ ბოლგარეთს. აჯანყებულებმა დაამარცხეს მთავრობის ჯარი რადომირში. სოფიის ახლოს.

ბულგარეთის ოფიციალური ცნობებით, კომუნისტური მოძრაობა ბულგარეთში არც ისეთი სერიოზული გამოდგა და იგი უკვე დაამარცხეს.

მეორე ცნობებით კომუნისტებმა გლეხთა პარტიასთან ერთად დაიჭირეს რამდენიმე ადგილი და შესწყვიტეს მიმოსვლა სოფიასა და ცარიბროდის შორის. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, ჩრდილოეთ ბოლგარეთში მოძრაობა ფართოვდება. რადომირთან მთავრობის ჯარი დამარცხდა. როგორც იუწყებიან, ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე კარლოვოში, დობრიცაში და სადკოვოში, სადაც მთავრობის ჯარი მარცხდება.

სოფიაში და პროვინციაში კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება.

სერბეთში დაიწყო კომუნისტური მოძრაობა მსგავსად ბულგარეთისა. აჯანყებულთ სურთ სამხრეთ-სლავიის მთავრობის დამხობა.

ბულგარეთის მთავრობა არწმუნებს სამხრეთ-სლავიას, რომ იგი მოსპობს ყოველგვარ მოქმედებას კომიტაჯიებისას და მათ გადასვლას სერბეთის ტერიტორიაზედ.

„დეალი მეილის“ ცნობით სამხრეთ-სლავიასა და ბულგარეთს შორის გამწვავებული მდგომარეობა გრძელდება.

ბულგარეთის ოფიციალური ცნობით აჯანყება ჩააქრეს და ყველგან სიწყნარეა.

## უცხოეთი

**ჰანნოვერი.** შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად აცნობა ინგლისს, რომ მას სურს მონაწილეობა მიიღეს ტანჟერის საკითხის მოგვარებაში.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობამ უსახსრობის გამო შესწყვიტა ბალტიის პორტის აშენება. სწარმოებს მოლაპარაკება სამუშაოს უცხოელებისათვის გადაცემის შესახებ.

**ვარშავა.** „კურიერ პორანნი“ იუწყება, რომ „ერთა ლიგა“ აპირებს ვილნოს საკითხი გადასცეს ჰააგის ტრიბუნალს.

**პარიზი.** რომის გაზეთი „ეპოქა“ იუწყება, რომ შესაძლებელია იტალეთის დაახლოვება ესპანეთის ახალ მთავრობასთან, რომლელნიც აგრეთვე აცხადებს თავის უფლებებს ხმელთა შუა ზღვაზედ. ეს დაახლოვება აფიქრიანებს საფრანგეთს.

**ლონდონი.** „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, იაპონიამ განაიარაღა 9 სამხედრო გემი, თანახმად ვაშინგტონის შეთანხმებისა.

**ვლადივოსტოკი.** „როსტას“ წარმომადგენელმა იაპონიაში, ამხ. ანტონოვმა, პარტიულ კრებაზედ მოხსენებაში განაცხადა, რომ ცნობები იაპონიის ზარალის შესახებ გადაჭარბებულია ამერიკის სააგენტოების მიერ. 2—3 წლის შემდეგ იაპონია გასწორდება წელში. მიწის ძვრასთან დაკავშირებით რაიმე პოლიტიკურ ცვლილებებს არ უნდა ველოდეთ.

**ვლადივოსტოკი.** იაპონიის წარმომადგენლები ვლადივოსტოკში შეეკითხნენ მთავრობას, რა მიზეზია რუსეთისაგან დახმარების მიღებაზედ უარის თქმისა. თანაც აღნიშნავენ, რომ ამ უარს შეუძლიან სამწუხარო შედეგები მოჰყვეს.

**რომი.** ფრანგებმა გადასცეს ოსმალეთს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი ნახევარ კუნძულ გალლიპოლზედ ფოსტის სურრულ-ბაში.

**კობე.** (იაპონია) „როსტას“ კორესპონდენტის ღია წერილის საპასუხოდ ტოკიოს გაზეთები აცხადებენ, რომ გემი „ლენინი“ იოკაჰამიდან დათხოვნილი იყო ადგილობრივი მართველობის მიერ, ცენტრალურ მთავრობისათვის შეუტყობინებლად. ეს უკანასკნელი მეტად სწუხს ასეთი მოვლენის გამო. შემდეგი გემი „ტომსკი“ დაშვებული იქნება იაპონიაში.

**თეირანი.** სპარსეთში მოხდა ძლიერი მიწის ძვრა. რამდენიმე შენობა დაინგრა. მსხვერპლი ბევრია.

**ვარშავა.** (პოლონეთი) ფინანსიურ წრეებში ირწმუნებიან, რომ მორგანის 150 მილიონი დოლარის სესხი ჩაიშალა. პოლონეთის მარკის კურსი ეცემა.

**ვარშავა.** ხელი მოაწერეს პოლონეთ-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულებაზედ, რომელიც ძალაში შევა 2 კვირის შემდეგ.

**ათინა.** საერთო არჩევნები საბერძნეთში გადაიდო.

**ლიფფილდი.** ლოზანის ხელშეკრულების თანახმად საბერძნეთმა გადასცა ოსმალეთის კუნძული ტენედოსი. გადასცემენ აგრეთვე კუნძულ იმბროსს.

**ვენა.** რუმინეთში აღმოაჩინეს ფაშისტთა ორგანიზაციები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ იტალეთის ფაშისტებთან.

# ახალი ამბები

— **თელეთის ხიდის შეკეთება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა შეკეთებულ იქნეს თელის ხიდი.

— **ახალციხის საავადმყოფოს შეკეთება.** ახალციხის საავადმყოფოს სარემონტო ხარჯ-აღრიცხვა გადაეცა ჯამრთელობის სახ. კომისარიატს განსახილველად და 1924 წლის ბიუჯეტის შესატანათ.

— **პური ხევსურეთისათვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სასურსათო სახ კომისარიატს რათა ხევსურეთს მიეცეს 10.000 ფუთი ხორბალი.

— **საქართველოს სამთო სამართველოს მდგომარეობა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაავალა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამხ. მოდებაძესთან ერთად გამოიმუშავოს პროექტი და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქ. სამთო სამართველოს მდგომარეობის შესახებ.

— **აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1923 წ. 22 სექტემბრისათვის.** ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 17 მაისის დადგენილება № 52-ის საფუძველზე, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება ათი (10) მანეთის ფასობის კვალობაზე ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 22 სექტემბრისათვის განისაზღვრა 94,396,000 მანეთით.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვროს 9,440,000 მანეთით.

— **ქუთაისის შრომის განყოფილების კოლეგია.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა ქუთაისის შრომის განყოფილების კოლეგიაში შემდეგი შემადგენლობა—გამგეთ ამხ. კომახიძე, შრომის ინსპექტორათ გულივერდიშვილი, დამზღვევ კასის თავმჯდომარეთ აბულაძე.

— **ბირჟის გარეშე მიღებულ მოსამსახურეების შესახებ.** გადაწყდა მოახდინოს წარმოება-დაწესებულებათა დათვალიერება მუშა-მოსამსახურეთა წესიერი მიღება დათხოვნის გამოსარკვევად.

— **150 უმუშევარი საბურთალოს სამუშაოზე.** უმუშევრობასთან მებრძოლ კომისიამ წინადადებით მიმართა შრომის ბირჟას რათა 150 უმუშევარი გაგზავნოს საბურთალოში ჭაობიან ადგილების გასაწმენდათ უმუშავარი დღეში მიიღებს 60 კაპ. ჩერვონეცებით.

— **ლატარია-ალეგრის მოწყობის უფლება.** მთავრობის დადგენილებით ლატარია-ალეგრის მოწყობის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში გადაეცა სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

— **დახმარება ინვალიდებს.** სოც. უზრვ. სახ. კომისარიატმა ფულით დახმარება აღმოუჩინა 461 ინვალიდს. წამლობით ისარგებლა 1760 ინვალიდმა.

**კონცერტი.** ხუთშაბათს, 27 ენკენისთვეს, „ახალ წრეში“ კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება დიდი კონცერტი.

— **ახალი გაზეთი.** პროლეტარულ მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა ახლო მომავალში გამოსცეს თავისი ყოველ კვირეული სიტყვა-კაზმული გაზეთი.

— **მეხილეთა ყრილობა.** უახლეს ხანში გორში გაიმართება მეხილეთა ყრილობა.

— **მანქანების შეკეთება.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა დაადგინა დაუყონებლივ შეკეთდეს სასოფლო სამეურნეო ძანქანები.

— **აბრეშუმის ჭიის თესლი.** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე. რათა შედგენილი იქნას მომავალ სეზონისათვის 615 ათასი კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლი.

— **ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები.** მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატმა შეიძინა 40 გუთანი და 6 პურის საკრეფი მანქანა.

— **ჩათახის ქარხანასთან.** გაიხსნა ორი ახალი ქარხანა: აგურისა და ხე ტყის სახერხი.

— **თეატრი მუშებისათვის.** ჩათახის მუშებისათვის მოწყობილი იქნა ბენო კალანდაძის სახელობის თეატრი, რომელიც იტევს 200 კაცს.

— **მუშების წვლილი ჰაეროპლან „დოპროფსოჟისათვის“** რკ. გზ. არტელების ნავთსადგურის მილებზე მომუშავეებმა თავიანთ შორის შეკრიბეს 835 მილ. მან. ჰაეროპლან „დოპროფსოჟის“ სასარგებლოდ.

— **სამეცნიერო გამოკვლევა.** დავით კარბელაშვილმა დაამთავრა თავისი სამეცნიერო გამოკვლევა „ქართველები ინდოეთში და კუნძულ ცეილონზე“,

— **საცხოვრებელ ბინების პროექტი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა პროექტი საცხოვრებელ ბინებისა, რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება.

— **ახალ-ციხის გზის შეკეთება.** საქ. კომისართა საბჭომ დაადგინა სთხოვოს ა. კ. გზათა სახალხო კომისარიატის სამმართველოს მიილოს ზომები რათა შეკეთებული იქნას ახალ-ციხე-ახალ-ქალაქის და ახალ ციხე აბასთუმანის გზები.

— **შრომის ბირჟა.** 29 სექტემბერს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 698 უმუშავარი, ახლად ჩაეწერა 93 უმუშავარი, სამუშაოზე გაიგზავნა 38 უმუშავარი.

**ქურდის შეპყრობა.** 1 ლ სამილიციო რაიონში 20 სექ. საღ. 8 საათზე შეპყრობილი იქნა მოქ. ივანე ნეტიხკო და პავლე გალკინი, რომლებსაც აღმოაჩნდათ სხვს და სხვა მოპარული ნივთები კუთვნილი თამარ ავეტიკოვის, რომელსაც ჩაბარდა მთელი ნივთები.

— **თავის მოწამვლა.** მე-8-ვე სამილიციო რაიონში ამა წლის 21 სექ. დილის 9 საათზე ბზის მოედანი № 5-ში მოქ. ზაარაბრა გომოვმა მოიწამლა თავი. გვამი გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

— **ტრამვაიის ამბულატორიის გატეხვა.** 1 სექტ. დილის 6 საათზე გატეხილი იქნა ტრამვაის ამბულატორია, საიდგანაც წაღებულია ზეწრები ღირებული 500 მილიონ მანეთის. ბოროტ-მოქმედი არ არის აღმოჩენილი.

— **ტუსაღების გაქცევა.** მე-11-ე სამილიციო რაიონში: რაიონის სამაართველოს სატუსაღოდან გაიქცნენ ტუსაღები ვლადიმერ ზახრაძე და გიორგი ნონიევი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ქურდობაში.

— **სპარტაკის შენობის გაქურდვა.** მე-10-ე სამილიციო რაიონში გაქურდული იქნა 1-ლი რაიონის სპარტაკის შენობა, საიდგანაც წაღებულია 10 გირ. ტყავი ღირებული 500 მილ. ეჭვით დაპატიმრებულია სპარტაკელი გიორგი მოისწრაფიშვილი.

— **სალიტერატურო ორშაბათი.** საქ. პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობას დადგენილებით ხელოვანთა სასახლეში გაიმართება სალიტერატურო ორშაბათები.

— **ვალიუტის კურსი.** 24 სექტემბერი.

| | |
|---|---|
| ჩერვონეცი | 48,500,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 45,300,000 „ |
| ჩეკი. | 42,800,000 „ |
| დოლარი ეფექ. | 9,850,000 „ |
| ჩეკი. | 9,150,000 „ |
| ოსმალური ლირა | 6,200,000 „ |
| საბჭოთა ფული | 16,500 „ |

# პარტიაში

ოთხშაბათს, სექტემბრის 26, საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი სხდომა ტფ. მე-2 სარაიონო კომიტეტის. გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები.

წევრთა დასწრება აუცილებელია.

**მდივანი.**

პარტიულ დისციპლინის ძალით წინადადება ეძლევა ქვემოაღნიშნულ [illegible] აუცილებლივ მე 4 [illegible] (კეცხოველის ქ. № 1) ამა ენკენისთვის [illegible] 1—8 მდე.

1) **ხუნდაძე სიმონი,**
2) **ქამუშაძე აკაკი,**
3) **ჭეიშვილი ნიკოლოზ,**
4) **მონავაძე შოთა,**
5) **ძნელაძე რაჟდენ,**

მე-4 რაიკომის მდივანი

**აკაკი ხირაძე.**

**ხონი.** (ქუთაისის მაზრა). საბჭოთა წეს-წყობილების დამყარებამდე ხონის და მის რაიონის სოც.-ფედ. ორგანიზაციას ეჭირა პირველი ადგილთაგანი პარტიულ ცხოვრებაში.

ორგანიზაციაში ირიცხებოდა 600—700 კაცი. ამ ჟამად კი სურათი შეცვლილია. ხონის რაიკომის განკარგულებაში სულ რაღაც 30—50 პარტიული ამხანაგია.

ამის მიზეზი ყველასათვის აშკარაა. ძველი პარტიის რიგები მრავალრიცხოვანი იყო, მას ავსებდა ფუქსავატ, არა მშრომელი ელემენტები. ჩარჩვაჭრები, სოფლის მოძალეები, ყოფილი „პრწყინვალე“ წოდების წარმომადგენლები, ბურჟუაზიული ახალგაზრდობა—აი რას წარმოადგენდა ძველი პარტიის ხონის ორგანიზაციის შემადგენლობა. ორგანიზაციაში არ ირიცხებოდა არც ერთი ნამდვილი მშრომელი, არც ერთი მუშა და გლეხი.

მშრომელთა დიქტატურის გამგეობამ ლახვარი ჩასცა საზოგადოების ფუქსავატ ნაწილს. გამოაშკარავდა ძველი პარტიის წევრების ანტისოციალისტური ფიზიონომია.

ჩვენი პარტიის რიგში 1921 წლიდანვე ჩამწკრივდა მშრომელი, ღარიბი წვრილი ინტელიგენცია, რომელიც იმყოფებოდა ძველი პარტიის აბსოლიუტურ უმრავლესობის ჩრდილ ქვეშ.

პარტიის ამ საღმა ნაწილმა გაბედულად უკუაგდო ძველი „მემარჯვენური“ აზრები და ხელი გაუწოდა საბჭოთა ხელისუფლებას. მცირერიცხოვანი, მაგრამ არსებითად სოციალისტური რწმენით გაღენთილი ამხანაგები მოხვდა ჩვენი პარტიის ხონის ორგანიზაციაში

უკანასკნელ ხანებამდე ოფიციალურად არ არსებობდა ორგანიზაცია. იგი დაარსდა 1922 წ. მიწურულში. გაჩაღდა პარტიული მუშაობა ღარიბი მუშები და გლეხები ჩაეწერნენ და დამტკიცდნენ წევრად სათანადო კანდიდატობის სტაჟის გავლის შემდეგ. დღეს რაიორგანიზაციის შემდგენლობას უმრავლესობა მიწის მუშებია.

პარტიული კრებები ხშირად იმართება. სწარმოებს ამხანაგების იდეური გაწრთვნა-განვითარება.

---

# აი პასუხი !!!

**კრიტიკასა და გაბოროტებულ ლაზღანდარობას შუა ის განსხვავებაა, რომ პირველი ასაბუთებს, იკვლევს და უტყუარ მსჯავრსა სდებს, მეორე—სტყუის, ამახინჯებს საგანს და ამცირებს პიროვნებას. კრიტიკა ყოვლად პატივსადებია, რადგან ძვირფასი იარაღია ჭეშმარიტების დასაცველად, ლაზღანდარობა—გაბოროტებული გულის მცენარეა, ულაზათო და უმწო. ამ მცენარის აღმოცენებისთანავე მწერლობაში საჭიროა ძირიან-ფესვიანად მისი აღმოფხვრა, რადგან მწერლობა მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ტაძარია და არა ღვარძლის სათესი მინდორი.**

**არჩილ ჯორჯაძე.**

## 1. „წესიერი“ პოლემისტი

როდესაც ჩემი წერილების (მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში“) ბეჭვდა დამთავრდა გაზ. „ტრიბუნას“ ფურცლებზე, ერთმა ჩემმა ახლობელმა ამხანაგმა მითხრა: ნაცვლად პასუხისა შენ მიიღებ სოფისტიკის საუცხოვო ნიმუშებს; შენთვის სჯობდა, რომ ეს წერილები ყოველგვარ პოლემიკის გარეშე დაგეწერა. მე არ ვეთანხმებოდი ჩემს ამხანაგს და ვუმტკიცებდი, რომ ოპონენტი საკითხს ამ გზითა და ამ საშუალებით მოუარდა, შეეცდებოდა გაეშუქებინა ესა და ეს მომენტები; თან დავსძენდი, რომ პოლემიკა აუცილებლად მიიღებს სერიოზულს ხასიათს და სხვა პირებიც ჩაერევა კამათში; ასეთს შემთხვევისათვის მე უკვე მაქვს შემონახული კიდევ ახალ-ახალი მასალები და საბოლოო წერილებში შევეცდები მკითხველ საზოგადოებას ახალი ცნობებით გამოვეხმაურო მეთქი.

ჩემი წერილების „საპასუხო“ წერილებიც დაიბეჭდა და უნდა გულ-ახდილად გამოვტყდე სასტიკად მოვსტყუვდი; ჩემი „სტრატეგიული“ გეგმები არ გამართლდა და ოპონენტმა ნაცვლად პასუხისა, მეტად საინტერესო „ხოტმები“ მომიძღვნა.

მაგრამ მოსტყუვდა ჩემი ამხანაგიც, რომელიც პასუხის ნაცვლად მხოლოდ სოფისტიკის ნიმუშებს მოელოდა: ჩემი ოპონენტი იმდენად დიდ ბუნებოვანი აღმოჩნდა, რომ სოფისტიკასთან ერთად ჩემი ლანძღვა-გინების დამთავრებული ლექსიკონი გამოიმუშავა და დაამახინჯა არა მარტო საკამათო საგანი, არამედ მთელი რიგი ჩემ მიერ წამოყენებული დებულებებისა.

ჯერ გავიცნოთ ჩემი ოპონენტის ლიტერატურული ეთიკის და ამხანაგური დამოკიდებულების ლექსიკონი. აი ერთი ნიმუში ამ „ზრდილობის“ ლექსიკონიდან ამონაწერი:

„რა ჰქნას ამხ. სან დონმა; შეუდგა მეტად დიდ შრომას, „რევიზიას“ ახდენს ორი სოციალ-[illegible] დოქტრინისას და ხუმრობა ხომ არ ჰგონიათ, რაღაც უნდა სთქვას. თუ საკუთარი რამ ცოტა აქვს ჩვენს „რევიზორს“ პორტფელში, ბროშურებში ხომ შეიძლება იპოვოს რამოენიმე ფრაზა. აიღებს და იმეორებს. იგი არც ჭრიაშვილის ტიპია. ჭრიაშვილი თავის აზრებს დაუსრულებლად ღეჭავდა; ამხ. სან-დონი კი სხვის აზრებს და ამონაწერებს ღეჭავს დაუსრულებლად“. (იხ. № 524).

„ეს სხვათა შორის“ დასძენს ჩვენი ოპონენტი და მართლაც ამ „სხვათა შორის“ მეტად ხელოვნურად შეზავებულ ადგილებს მრავალი მეტად „ზრდილობიანი“ და აღსანიშნავი შედარებები დაამატა. ამაღლობელი არ ივიწყებს ჩვენში კარგათ ცნობილ სოლომონ ზურგიელიძეს, მოხდენილად ეხება ჩემს „ინტელექტუალურ აპარატსა“ და ასე ბოლომდე ლანძღვა-გინების ჰანგებზე ააგო თავისი ოთხი ვითომდა „საპასუხო“ ფელეტონი.

როდესაც პირველად ეს უკაცრავად პასუხია „პასუხი“ წავიკითხე ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ ბოლოს მომაგონდა უკვდავი სიტყვები: „კოკასა შიგან რაცა სდგას იგივე წარმოდინდების“ და მეც ვიფიქრე, შეუძლებელია ადამიანს მოსთხოვო ის, რაც მას არ გააჩნია.

მაგრამ საკითხი მარტო ამაღლობელსა და სან-დონს შორის ურთიერთობას ხომ არ ეხება: წერილები იწერება პარტიულ ორგანოში, პარტიულ ამხანაგების მიერ, მეტად საინტერესო პარტიულ კითხვებისა და მასთან დაკავშირებულ პრობლემების გარშემო. ნუ თუ **ეს გარემოება** არ აიძულებს პოლემ სტს თავის მოპირდაპირეს ზრდილობიანად მოეპყრას და არ გადაუხვიოს პარტიულ ეთიკისა და ლიტერატურული მასალის ფარგლებს? რასაკვირველია აიძულებს, რასაკვირველია პარტიული და ლიტერატურული ეთიკა მოითხოვს უფრო ზრდილობიანსა და დამშვიდებულს მოპყრობას, ვინემ ეს ჩაიდინა ჩემმა ოპონენტმა. აბა როგორი შთაბეჭდილება უნდა დასტოვოს საზოგადოებასა და პარტიულ ამხანაგებზე, ასეთი ტონით, ასეთი კილოთი დაწერილმა ამხანაგურ ეთიკას მოკლებულმა წერილებმა?

მაგრამ ამას კიდევ აიტანდა კაცი, რომ ოპონენტი მარტო ამით კმაყოფილდებოდეს. იგი იმდენად გაეხვია პოლემიკის ქიშში, რომ არ ზოგავს არავითარ საშუალებას, რომ როგორმე მოწინააღმდეგე დაამარცხოს.

ლანძღვა-გინებასთან ერთად ამაღლობელი გულმოდგინეთ, მეტად მოხდენილი ხერხით შეუდგა ჩემი დებულებებისა და აზრების გადამახინჯებას. მოწინააღმდეგის აზრებისა და დებულებების გადამახინჯება—ეს მეორე დიდი საშუალებაა ჩემი ოპონენტისა ბრძოლის მოედანზე გამარჯვებისათვის. მაგრამ ტყუილა უფიქრია ოპონენტს, რომ კეთილად ჩაუვლის ასეთი ოპერაციები: მე მას არ გავყვები ლანძღვა-გინებაში, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მაგრამ შევეცდები გამოვააშკარავო მთელი ის მახინაციები და არა საკადრისი ხერხი, რომელსაც მიჰმართა ამაღლობელმა ჩემთან კამათის დროს.

ოპონენტი ათავსებს ოთხს წერილს ჩემს წინააღმდეგ შემდეგი სათაურებით: რევიზორის პორთფელი, ლოღიკური დომხალი, აზრთა გადამახინჯება, იდეოლოგიური დომხალი. ამ წერილებს ამაღლობელი უკეთებს საერთო სათაურს „პასუხის პასუხი“. მკითხველი, რომელიც არ არის გაცნობილი ან სუსტად იცნობს ჩემს წერილებს მარქსს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის შესახებ, ალბად, დარწმუნებულია იმაში, რომ ამაღლობელი პასუხს მაძლევს მე ყველა ჩემ მიერ წამოყენებულ დებულებებზე. არსებითად მთელი მისი „საპასუხო“ წერილები მიმართული არის იქითკენ, რომ შექმნას წარმოდგენა ჩემს შესახებ, ვითომ მე საწინააღმდეგო დებულებებს ვაყენებ, „ლოღიკურ დომხალში“ ვარდები და კრინტსაც არ ძრავს იმ საკითხის შესახებ, რომელიც სადაო საგნად არის გამხდარი ჩვენს შორის (მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა).

მე თავიდანვე ვამტკიცებდი, რომ ჩემს ოპონენტს მეტად სუსტი ცოდნა აქვს სადავო საკითხის შესახებ, რომ მან არ იცის სახეიროთ ის იპოქა, რომელშიაც მარქს-ენგელსი მოღვაწეობდენ და აყენებდენ თავიანთ ეროვნულ პროგრამას და არც ამ პროგრამის შინაარსის გაეგება ბევრი რამ. ოპონენტი არ ცდილა პოლემიკის პროცესში მაინც შეესწავლა აღნიშნული საკითხები და ამგვარად თავისი დამთავრებული შეხედულება მოეცა მათ შესახებ. პასუხი კი აუცილებლად უნდა გასცეს თავის მოწინააღმდეგეს. ამიტომ არც აცივა, არც აცხელა და შემდეგ მეტად საინტერესო (ოპონენტის ფიზიონომიის გასაცნობად) ხერხს მიმართა კამათის დროს.

გავყვეთ ამ ხერხის „კონსტრუქციას“: ჩემი ოპონენტი აყენებს პირველად შემდეგს დებულებას: „ნააზრევი, რომელიც აზრთა წინააღმდეგობის კომპლექს წარმოადგენს, არ შეიძლება დასახული იქნეს სერიოზულ დისპუტის ობიექტად. **ამ შემთხვევაში საჭიროა ლოღიკური წინააღმდეგობათა ნათელყოფა და იგი თავის-თავად დაიშლება.** აქ ჩვენ დავინახავთ, რომ **სხვა გზით შეუძლებელია** ამხ. სან-დონთან პოლემიკის წარმოება“ (იხ. „ტრ.“ № 526, კურსივი ჩემია. ს. დ.). გამოდის რა ამ ძირითად დებულებიდან, ჩემი ოპონენტი „ერკვევა ჩემი წერილების დედანში“ და „ნახულობს“ (ერთობ მოხდენილი ხერხით) რამდენიმე საწინააღმდეგო დებულებებს და მათ უპირისპირებს ერთიმეორეს. თუ რამდენად მართალია ის, რომ მე საწინააღმდეგო დებულებებს ვაყენებ ამას ნათელს ვყოფ შემდეგს ფელეტონში. აქ მე მაინტერესებს ჩემი ოპონენტის საკამათო ხერხების მეორე მხარე. მისი აზრით ჩემს „ნააზრევს ერთი სწორი ხაზი არ ახასიათებს. იგი ურთიერთშორის საწინააღმდეგო ნაფლეთების ხასიათს ატარებს“. არკვევს რა ამ „საწინააღმდეგო ნაფლეთების ხასიათს“ ოპონენტი დაასკვნის ტრაგიკული კილოთი; ჩვენ ამ დასკვნას ვრცლად ამოვსწერთ: იგი მოხდენილად ახასიათებს ჩემი ოპონენტის ფიზიონომიას. ავტორი სწერს:

„მკითხველი ხედავს, რომ ამხ. სან-დონმა მართლაც „მეტად უხერხულ მდგომარეობაში“ ჩამაყენა **რა უნდა ვსთქვა? როგორ ვეკამათო?** ჩემს წინაშე მდიდარი მასალაა გადაშლილი საერთოდ ნაციონალური პრობლემისა და კერძოდ მარქს-ენგელსის ნაციონალური პოლიტიკის გარშემო, მაგრამ ჩემს მოპირდაპირესთან ეს მასალები არ გამოდგება. თუ **დაუმტკიცებ, რომ მარქს-ენგელსი არ სცდებოდენ ნაციონალურ საკითხში, ის მიგითითებს იმ ადგილებზე, სადაც თვითონ ამბობს, რომ არც სცდებოდენ; თუ დაუმტკიცებ, რომ სცდებოდენ, ამისათვისაც შესაფერი პასუხი აქვს თავის ფელეტონებში და მოგიყვანს ამონაწერს, რომ სცდებოდნენ.** თუ ლენინს მივიჩნევ მარქსის სისწორით აღმდგენელს—დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ლენინის პროგრამა სხვაა და მარქსის სხვა, ამაზედაც დამეთანხმება. თუ დავუმტკიცებ, რომ მარქსისათვის ნაციონალური საკითხი დაკავშირებული და დამორჩილებული კლასობრივ მომენტთან—ამხ. სან-დონი თანახმაა, თუ ვიტყვი, რომ მარქსისათვის ნაციონალური საკითხი პრინციპის საკითხია, ამაზედ თანახმაა. თუ არ [illegible] ვიჩნევ დიდ კულტურულ ღირებულების მქონეთ [illegible] პროგრესის ძალათ მარქსის სკოლაში ერს—დი[illegible] სანტი მეთანხმება; თუ მას მივიჩნევ „მეტად დი[illegible] მნიშვნელოვან ფაქტორად, რევოლიუციონურ ფა[illegible]ტად (მაშასადამე „მეტად დიდ“ პროგრესიულ ძა[illegible]ლად) ის თანახმაა.

ბევრჯერ მქონია შემთხვევა საჯარო თუ პრესის საშუალებით პოლემიკის წარმოებისა, მაგრამ ჭეშმარიტად ასეთ „უხერხულ მდგომარეობაში“ არასოდეს ვყოფილვარ. **აქ ისეთი გამოუვალი რკალია, რომ არ გშველის არც თეორია, არც ფაქტები, არც ლოღიკა, არც სიტყვა, არც საქმე. ყოველივე ეს შედეგია იმ ლოღიკური დომხალის, რომელიც ჩვენ ზემოდ დავინახეთ.** არ ვიცი, რომელი მეტ „უხერხულობას“ უნდა გრძნობდეს [illegible] ლოღიკური დომხალით—მე თუ ამხ. სან-დონი? („ტრ.“ № 526, კურსივი ჩვენია).

როდესაც გულუბრყვილო მკითხველი [illegible] ვრცელს ამონაწერს წაიკითხავს და გაეცნობა იმ „უხერხულ მდგომარეობას“ რომელშიაც მე ჩამაყენებია ჩვენი ოპონენტი, ალბად ერთ-ორს შემომიჯავრდება და მაგრათაც შემიკურთხებს: ამხ. ამაღლობელს სურს და არსებითად მოწადინებულია თავისი დიდი ეროდიცია გამოიჩინოს და სადავო საკითხი,—მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკა—სავსებით გამოარკვიოს და ნათლად, მაგრამ ეს წყეული სან—დონი აბნევს საკითხს, საწინააღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკითხება მოხსენებები სხვა და სხვა თანამედროვე საკითხებზე.

ხუთშაბათს, სექტემბრის 6-ს შესდგა რაიონ-როგანიზაციის წევრთა დ კანდიდატთა საერთო კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. გრიშა ხოფერიამ, რომელიც ჩამოვიდა ხონში სპეციალურად პარტიულ ცხოვრების გაგების მიზნით.

ამხანაგის მოხსენება ვრცელი ხასიათის იყო და შეიცავდა ყველა იმ კითხვების განმარტებას, რომელიც აინტერესებს ყოველ პარტიულ ამხანაგს. განსაკუთრებით აღნიშნა ამხანაგმა ჩვენი პარტიის მიერ აღებულ პოლიტიკის სისწორე.

ყოველ მოსაზრება—დებულებას თვალსაჩინო ფაქტებით და მასალით ასაბუთებდა. გაარკვია მემარჯვენე პარტიების იდეური და ორგანიზაციული სიკოტრე. ილაპარაკა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის შესაძლებლობაზე. დიდხანს შეჩერდა საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე.

დაწვრილებით აღნიშნა საბჭოთა რესპუბლიკების ვითარება ეკონომიურის და ეროვნული თვალსაზრისით. გადაუშალა კრებას დამაკმაყოფილებელი სურათი ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობასი.

მოხსენების მეორე ნაწილში ამხ. შეეხო ორგანიზაციულ საკითხებს.

დასახა გეგმები ნაყოფიერ პარტიულ მუშაობის.

მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იყო რამდენიმე შეკითხვა. ამხანაგმა ყველას გასცა შესაფერისი პასუხი. კრება დახურეს საღამოს 8 საათზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ხოფერიას ჩამოსვლამ დიდათ გაამხნევა ამსანაგები და გაუღვიძა მათ პარტიული მუშაობის წყურვილი. დღემდე ხონის ორგანიზაციას არავინ აქცევდა სათანადო ყურადღებას: არც ქუთაისის სამაზრო კომიტეტი. უყურადღებობა კი მეტის-მეტად უშლიდა ხელს პარტიულ ცხოვრების სასურველ დონეზე დაყენებას.

აღსანიშნავია აგრეთვე სხვა დამაბრკოლებელი მიზეზიც.

პარტიული ლიტერატურის კრიზისი, ანკეტების, ინსტრუქციების და სხ. უქონლობა ერთობ აფერხებს ნაყოფიერ მუშაობას.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მაინც ასე აღარ იქნება.

**ქარჩხაბელი.**

---

**თამაკონის თემი.** (სენაკის მაზრა) თამაკონის თემი მაზრის ცენტრიდან არის დაშორებული 30—32 ვერსით. მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე ამავე თემის სოფელ ნამიკოლოვოში არის გაშენებული სენაკის მაზრაში განთქმული თამაკონის ბაღი, სადაც 1920 წლიდან არსებობს სამეურნეო სკოლა.

მთავარი მეურნეობის დარგი მცხოვრებლებისა არის ხვნა-თესვა, სოფელ ნამიკოლოვოში კი ძლიერ გავრცელებული არის თიხის სხვა და სხვა ჭურჭლების დამზადება. განვითარებულია აგრეთვე მეაბრეშუმეობა, მევენახეობა და მეხილეობა.

თამაკონის თემის სოფლებში განსაკუთრებით ღირს შესანიშნავია პატარა სოფელი თარგამეული რომელიც მდებარეობს მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზედ, როგორც თავისი ლამაზი გეოგრაფიული მდებარეობით, აგრეთვე ბუნებრივი სიუხვით; სოფელ თარგამეულის მცხოვრები შესდგება სრულიად შეგნებული გლეხობისაგან.

ამა წლის სექტემბრის რიცხვებში სამაზრო კომიტეტის დავალებით ვაწარმოებდი პარტიულ მუშაობას ზემოდ ხსენებულ თამაკონის თემში, სადაც დღემდის არ ყოფილა როგორც პარტიული მუშაობა, ისე პარტიული ორგანიზაციაც. ამა წლის 12 სექტემბერს თამაკონის თემის სოფელ თარგამეულში მოწვეული იქმნა კრება.

კრებას დაესწრო 29 პარტიული საქმით დაინტერესებული გლეხები. მოხსენების შემდეგ საზოგადოება დარჩა ძლიერ კმაყოფილი.

პარტიულ უჯრედის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხანაგი ზოსიმე ნაროუშვილი და პასუხისმგებელი მდივნად კი პეტრე ხარგელია.

აგრეთვე კრებამ დაადგინა, რომ სამაზრო კომიტეტმა გამოუგზავნოს მათ პარტიაში მომუშავედ ერთი პასუხისმგებელი ამხანაგთაგანი.

სამაზრო კომიტეტმა თავისი ერთ-ერთი კრებაზე დაადგინა, რომ თამაკონის თემის სოფელ თარგამეულის „უჯრედში მოხსენების გასაკეთებლად და საჭირო წიგნების გადასაცემად გაიგზავნოს სამაზრკომის პასუხისმგებელი მდივანი.

**რაჟდენ ნაროუშვილი.**

---

# პროვინციაში

## აგარაკი ბახმარო.

ჟამსა მას შინა რომანოვებისა, როდესაც ისეთ მუხრუჭებში იყო შებოჭვილი არა თუ მარტო მთავრობის წინააღმდეგ მიმართული მოღვაწეობა, არამედ ყოველივე სალი ჯანმრთელი, ცარიზმის და პოლიციის შმორისაგან განწმენდილი კულტურული საქმე, ამ მივარდნილ კუთხეში, დესპოტიზმის სამყაროს მოშორებული ახალთაობა რაღაც სილაღეს გრძნობდა, რაღაც თავისუფლად სუნთქავდა.

ეს შედარებით სისუსტე ცარიზმის არტახებისა იყო მიზეზი, რომ აქეთკენ ილტვოდა არა მარტო სნეული, არამედ ჯანმრთელი სიცოცხლით სავსე ქართველი ახალგაზრდობა გურიიდან და მთელი ამიერ და იმიერ საქართველოდან.

აქ იკრიბებოდა ის იდეიური, საზოგადოებრივ საქმით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა, სტუდენტობა პეტროგრადის, მოსკოვის, იურიევის უნივერსიტეტისა, მრავალი დევნილი საზოგადო მოღვაწე.

აქ ხშირად შეხვდებოდით უტეხ ნაძვნარში ბუნების ფონზე შეგროვილ ახალთაობას, ცოცხალის ენტუზიაზმით მოკამათეს რომელიმე საჭირბოროტო საკითხების გარშემო, თუ ცხარე სამეცნიერო დისპუტში ჩაბმულ სტუდენტობას. ხშირად იმართებოდა საბუნებისმეტყველო ექსკურსიები, იკითხებოდა შინაარსიანი ლექციები და მოხსენებები, იმართებოდა სისტემატიური წარმოდგენები და ყველა ეს ცოცხალის ენტუზიაზმით და გატაცებით მიმდინარეობდა და საზოგადოებაში ცოცხალ გამოძახილს პოულობდა, რაც არაჩვეულებრივ მხიარულ ელფერს აძლევდა აგარაკს.

ყველა ეს მიფუჩეჩდა და მიწყდა მსოფლიო ომის დაწყებისას და ეხლახან გამოცოცხლდა ამ სამიოდე წლის განმავლობაში.

მიზეზი კულტურულ მუშაობის შეფერხებისა მდგომარეობს შემდეგში: ახალგაზრდობა, რომელიც სისტემატიურად ეტანებოდა აგარაკს დაიქსაქსა ომის პროცესში, აგარაკზე მოგზაურობა და ცხოვრება გაძვირდა და თუ არ მძიმე ავადმყოფები ვერავინ ახერხებდა აგარაკზე გამგზავრებას, თანაც უკანასკნელ წლებში, როდესაც ყაჩაღობამ და ბანდიტიზმმა ისეთი სისტემატიური ხასიათი მიიღო და მენშევიკურ მთავრობის უტაქტო მოქმედების წყალობით დამოკიდებულება ჩვენსა და აჭარლებს შორის ისე გამწვავდა, რომ აგარაკზე გამგზავრება დიდ საფრთხეს წარმოადგენდა მოაგარაკის როგორც ქონებისათვის, ისე თვით სიცოცხლისათვის. ამ პერიოდში აგარაკზე გამგზავრება დიდი თავის განწირვას მოითხოვდა და კულტურულ საქმისათვის ცხადია ამ დროს არავის სცხელოდა.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, ჩვენსა და მუსლიმანებს შორის მტკიცე სოლიდარული განწყობილება სუფევს, ყაჩაღობა ძალზე შესუსტებულია.

მდგომარეობის ასეთი გაუმჯობესება არის მიზეზი, რომ აგარაკს ზღვა ხალხი მოაწყდა, რამაც ბინების დიდი სივიწროვე გამოიწვია. გარეგნულად თითქოს კარგი პირობები შეიქნა კულტურულ მუშაობისათვის, მაგრამ შეწყვეტილ საზოგადოებრივ მაჯის ცემის ამუშავება არც ისე ადვილია. საზოგადოებას ემჩნეოდა რაღაც დაქსასვა, ინდიფერენტიზმი ყველაფრისადმი. ამას ზედ დაერთო გამოშებული წვიმები (აგვისტოს [illegible] ლიც მოვიდა) და [illegible] ხალისს უხშობდა [illegible] არც ერთ ექსკურსიას, წარმოდგენებს [illegible] გრილად ეპყრობოდა, ყველა რაღაც თავის ხოჭოში შემძვრალიყო და საკუთარი ცხოვრებით სცხოვრობდა.

დავიწყოთ თეატრის საქმიდან. თეატრს ბახმაროზე კარგი წარსული აქვს.

ბახმაროს სრულიად მოუწყობელ სცენაზე წარსულში გვინახავს **ალიოშა წუწუნავა, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, თაგუნა** (სტუდენტობის დროს), **მარო მდივანი** და სხვები.

წელს დასს ხელმძღვანელობდა ბახმაროს მოაგარაკეთათვის კარგად ცნობილი მსახიობი ნიკოლოზ დოლიძე. მისმა სასცენო და საზოგადოებრივ მოღვაწეობამ სტუდენტობის და თითქმის გიმნაზიელობის დროს დიდი წვლილი შეიტანა ბახმაროს კულტურულ ცხოვრებაში.

ყოველს კულტურულ საქმეში, იქნებოდა ეს ლექცია, წარმოდგენა თუ ექსკურსია, ის თუ არ ხელმძღვანელობდა, აქტიურ მონაწილეობას მაინც იღებდა. მთელ მის მოღვაწეობას ახასიათებდა უანგარობა, საქმისადმი სიყვარული და დაუშრეტელი ენტუზიაზმი.

ამის შედეგი იყო, რომ ისეთ დუხჭირ პირობებში, როგორიც ბახმაროზე არსებობს, ახერხებდენ ისეთი მხატვრული წარმოდგენების გამართვას, რომელიც ბევრი პროვინციელი ქალაქის სცენას შეშურდებოდა.

წრევანდელ სეზონზე მიღებულ იქმნა გასათამაშებლად უმთავრესად კომედიური რეპერტუარი. ხელმძღვანელობდნენ იმ მოტივით, რომ ეს უფრო შეეფერებოდა აგარაკის მხიარულ, სადღესასწაულო განწყობილებას და მეორეც ისა, რომ არა თუ მძიმე დრამის და მით უმეტეს კლასიკურ ტრაგედიისათვის არავითარი მოწყობილობა დასს არ გააჩნდა. დასის შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო.

ამ სეზონზე აგარაკს ესტუმრა დამსახურებული ქართველი მსახიობი ქალი მარო მდივანი და ვასო ურუშაძე.

სხვა ქალებში აღსანიშნავია ფაცია ვადაჭკორია, თამარ ბილიხოძე, თამარ ცერცვაძე და ვარია მუჯირი.

---

დეგო დებულებებს აყენებს და ამით ხელს უშლის ამაღლობელს მისი დიდი მიზნის განხორციელებაში.

მე მინდა ასეთი მკითხველის საპასუხოდ განვაცხადო შემდეგი: ვსთქვათ რომ მე საწინააღმდეგო დებულებები წამოვაყენე და გარკვევით დამთავრებული არაფერი ვსთქვი მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის შესახებ. განა **სადაო საკითხის, —მარქსს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის**,—გამოსარკვევად საკმარისი არის მხოლოდ ჩემი საწინააღმდეგო დებულებების გამომჟღავნება? ან რატომ **არ შეიძლება ჩემთან** პოლემიკის დროს. ასეთს პირობებშიაც, **სხვა გზის მოხმარაც?** ჩემი ლოღიკური წინააღმდეგობების გამოაშკარავება **მეხება მხოლოდ მე** და ჩემს გაურკვევლობას ამტკიცებს. მაგრამ მარქს-ენგელსის პოლიტიკა და მათი ეროვნული პროგრამა—**ეს არის მთავარი საკითხი და არა ჩემი ულოღიკობა**—გამოურკვეველი რჩება.

მკითხველი საზოგადოება და პარტიული ამხანაგები უღრესად დაინტერესებულნი არიან არა ჩემი „ულოღიკობით“ ან „ლოღიკური დომხალით“, არამედ აღნიშნული სადავო საკითხით. ამაღლობელმა **სრულიად შეგნებულად** გვერდი აუარა ამ სადაო საკითხის გამორკვევას და მეორე-მესამე ხარისხოვანი კითხვებით მოინდომა მკითხველი საზოგადოების დაინტერესება. მაგრამ საკითხის მთავარი ცენტრი მარქს-ენგელის ეროვნულ პოლიტიკისა და პროგრამის გამორკვევაში მარხია და ვინც არსებითად დაინტერესებული იყო ამით, მას მთელი თავისი გულისყური ამ ცენტრისაკენ უნდა მიექცია; წინააღმდეგ შემთხვევაში სადაო საკითხი გამოურკვეველი დარჩებოდა.

მე ჩემს წერილში ვრცლად შევეხე შემდეგ საკითხებს; რომელნიც მჭიდროთ არიან გადაბმული მარქს-ენგელსის ეროვნულ პოლიტიკის კითხვასთან:

1. შევეცადე გამომერკვია მარქს-ენგელსის შეხედულება საერთოდ ერებზე და მათს მომავალზე სოციალისტურ წყობილებაში. აქვე განვმარტე, თუ როგორ უნდა გვესმოდეს „კომ. მანიფესტის სიტყვები: **„პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო“***).

2. როგორ ადგილას იჭერს მარქსის მთელს მოძღვრებაში და განსაკუთრებით მის **რევოლიუციონურ სისტემაში** ეროვნული საკითხი; როგორ პროპორციასა და დამოკიდებულებას ამყარებენ მარქს-ენგელსი კლასთა ბრძოლის პრინციპსა და ეროვნულ საკითხის შუა.

3. მე შევეცადე გამომერკვია მეXIX-ე საუკუნის ნაციონალურ მოძრაობის ძირითადი ხასიათი და მისი მოთხოვნილებანი. ამ კითხვების გაგებასთან ერთად გამოვარკვიე მათი ეროვნული პროგრამა ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში. განსაკუთრებით შევჩერდი 1848 წ. რევოლიუციაზე, მაშინდელ სლავიანურ მოძრაობის შინაარსა და მიზნებზე და მათთან მარქს-ენგელსის დამოკიდებულებაზე ავხსენი ის შეცდომები, რომელიც მათ (განსაკუთრებით ენგელსმა) ჩაიდინეს ამ უკანასკნელი მოძრაობის გაგებაში.

1. განვმარტე მარქს-ენგელსის გაგება **გარდამავალი პერიოდისა** და მისი ფორმების კაპიტალიზმის წყობილებიდან კომუნისტურ წყობილებაში და გამოვარკვიე ამ პერიოდთან დაკავშირებით მათი ეროვნული პროგრამა.

5. ვრცლად შევეხე მარქს-ენგელსის მოღვაწეობას პირველ ინტერნაციონალში, მათს ბრძოლას პირველად მაძინისტებისა და შემდეგ პრუდონისტების წინააღმდეგ ეროვნული საკითხის გაგებაში.

6. ავღნიშნე იმპერიალისტური ბატონობის პერიოდის შინაარსი და ის როლი, რომელსაც თამაშობს ჩამორჩენილი ეროვნული ფორმაციები „კაპიტალის დაგროვების“ საქმეში. აქედან, როგორი სახის წარმოდგა მარქსისტებისათვის ეროვნული საკითხი თანამედროვე იმპერიალიზმის პერიოდში და როგორი არის კომინტერნის მიერ ამ კითხვის დაყენება.

ყველა ამ კითხვებს მჭიდრო კავშირი აქვს მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის გაგებასთან და პოლემისტი, რომელიც ხელში იჭერს კალამს მარქს-ენგელსის ეროვნულ საკითხისადმი დამოკიდებულების გამოსარკვევად ვალდებულია თუ არა თავისი აზრი და შეხედულება გამოსთქვას წამოყენებულ საკითხების შესახებ? რასაკვირველია ვალდებულია, მაგრამ ჩვენი პოლემისტისათვის ასეთი ვალდებულობა არ არსებობს, მას პირზედ აკერია ერთი დებულება: „მარქს-ენგელსისათვის ნაციონალური საკითხი ტაქტიკის საკითხია“ და წამდაუწუმ, ყოველ ფეხის გადადგმაზე, ყოველი კითხვის წამოყენების დროს მას იმეორებს და მასვე აყენებს პირველ რიგში.

მაგრამ ასეთი გატაცების დროს ოპონენტს ავიწყდება ერთი რამ; სახელდობ ის, **თუ როგორ სახესა და შინაარს ღებულობს მარქსის ხელში ეროვნულ საკითხისადმი ტაქტიკური მიდგომა.** დავეთანხმოთ ამაღლობელს დროებით იმაში, რომ მარქს-ენგელსი მხოლოდ და მხოლოდ ტაქტიკური საზომითა და ტაქტიკურს ნიადაგზე აყენებენ ეროვნულ საკითხს. განა ამითი საკითხი ამოიწურა? ეს მხოლოდ კითხვის წამოყენებაა განსაზღვრულს ფარგლებში და ნაწილობრივი პასუხის გაცემა მასზე. მაგრამ მთელი რიგი აქედან გამომდინარე სხვა კითხვებისა გარკვეული რჩება; მაგ. 1) მარქსი ხშირად ტაქტიკურად უდგებოდაო მის საკითხსა და ძლიერ ხშირად იყენებდა მას თავისი პოლიტიკისათვის, მაგრამ პრინციპიალურად იგი მტერი იყო ომისა და ერთა შორის სისხლის ღვრისა. როგორ უნდა გავიგოთ მარქსის ტაქტიკური მიდგომა ეროვნული საკითხისადმი? ამგვარი სახით, ე. ი. **იგი პრინციპიალურად უარყოფს ერს, ებრძვის მას მთელი თავისი არსებით.** მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდებში იყენებს მას, ტაქტიკურის მოსაზრებით, თავისი მიზნების განსახორციელებლად? 2). **როგორ გამოიყენა მარქსამა თავისი ტაქტიკური მიდგომა ეროვნულ საკითხისადმი გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში, როგორ დასვა კონკრეტიულს პირობებში ეროვნული საკითხი დადებითად, თუ უარყოფილათ; ან** უფრო უკეთ, **როგორია შინაარსი მარქსის ტაქტიკური მიდგომისა ეროვნულ საკითხისადმი.**

7). რომ არ ცდილობს მარქსი, ომის საკითხის მსგავსად, გამოიყენოს ეროვნული საკითხი პროლეტარიატის გამარჯვების საქმეში, რომ გამარჯვების შემდეგ მიმართოს პროლეტარიატის ნებისყოფა ერების გადაშენებისა და მოსპობისაკენ? უკეთ, **რას უპირებს მარქსი ერებს სოციალისტურს წყობილებაში?**

ჩვენში არა მარტო მათთვის, ვინც ასე თუ ისე დაინტერესებული იყო ეროვნულ საკითხით, არამედ მათთვისაც, ვისაც კი მხოლოდ ერთი ლექცია მოესმინა ეროვნულ საკითხში, ცნობილი იყო, —და ეს მრავალი წლების განმავლობაში ღრმად იდგამდა ფესვებს ჩვენი ხალხის შეგნებაში,—რომ მარქსი ეროვნულ საკითხს მხოლოდ ტაქტიკური საზომით უდგებოდაო. მაგრამ არსებით მხარეს ამ ტაქტიკური მიდგომისას ის ვერას შემთხვევაში ვერ აგიხსნიდათ. დღეს აღნიშვნა იმისი, რომ მარქსი ტაქტიკურად უდგება საკითხში, ეს დიდი ხნის განმავლობაში ნაღეჭი აზრების მხოლოდ განმეორებაა უფრო ცუდი ფორმით, სანამ მას საფუძლიანი განმარტებები არ ახლავს თან.

ამაღლობელმა ეს ძველთაგან ათასნაირად ნაღეჭი აზრები გაიმეორა და იოტის ოდენათაც არ შეეცადა გარკვეული შინაარსი მიეცა მისთვის და გაერკვია მთელი წყება ღრმად მნიშვნელოვანი კითხვებისა.

ამ უკანასკნელთა შესახებ მან დუმილი არჩია. „ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. ოპონენტმა უკანასკნელი საშუალება აიღო და „თქმითაც დაშავდებით“ შეშინებულმა **„მუნჯურ მეთოდს“** მიჰმართა სერიოზული კითხვის გადაწყვეტის დროს. რა მხრით „დაშავდებოდა“ ეს ადვილი წარმოსადგენია: წერა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მოითხოვდა ამ საკითხის სერიოზულ ცოდნას და შესწავლას იმ ისტორიულ-კონკრეტიულის პერიოდის, რომელშიაც მარქს-ენგელს უხდებოდათ მოღვაწეობა. როგორც თავიდანვე აღვნიშნავდი, არც პირველი და არც მეორე ოპონენტს არ შეუსწავლია და მათ შესახებ მეტად სუსტი წარმოდგენა აქვს. ასეთს პირობებში, რასაკვირკველია, მისთვის უმჯობესი იყო საკამათო საკითხის გვერდის ავლა, რადგან „თქმითაც დაშავდებოდა“ და საზოგადოების მეორე ხარისხოვან კითხვებში დაინტერესება.

ვიმეორებ: **ავტორს სრული უფლება ჰქონდა გამოემჟღავნებია ჩემი წინაალმდეგობანი, თუ ასეთი რამ დაუშვი მე და მასთანვე ვალდებული იყო ხავსებით გაერკვია მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის შინაარსი ჩემ მიერ წამოყენებულ კითხვებთან ერთად.** ნაცვლად ამისა მან მეტად **მოხდენილ ხერხს** მიჰმართა: თუ ეს ვთქვი მარქსის შესახებ, მოწინააღმდეგე სან-დონი დამეთანხმება, თუ ის ვთქვი ამაშიც დამეთანხმება, და ამიტომ მთავარ საკითხის შესახებ არაფერს **არ ვიტყვიო**, იგი სწერს: **რა უნდა ვწეროთ შემდეგ ფელეტონებში? პასუხი ძნელია.** (ოლონდაც! ს. დ. უმთავრესად კი რაც შეეხება აზრთა დამახინჯებას, უმცირესად კი იმ იდეოლოგიურ დომხალის გარჩევას, რაც გადარჩება ლოღიკური დომხალისაგან“ (№ 526 კურსივი ჩემია).

რაც შეეხება „დომხალის“ საკითხს, ამაზე ვრცლად მოგელაპარაკებით ქვევით და იქ გაიგებთ ვინ ამახინჯებს სხვის აზრებს, ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გეწეროთ და რის შესახებ ამაზე მე უკვე მოგახსენეთ.

---

*) ამაღლობელი თავის უკანასკნელს ფელეტონში სწერს: მართალია იგი (სან—დონი) ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რას გულისხმობდენ მარქს-ენგელსი ფორმულაში „მუშებს სამშობლო არა აქვსო“, ან როგორ შეიძლება ერის გაგება, მაგრამ **ეს ჩვენს პოლემიკის საგანს არ შეადგენს**“ (№ 531 კურსივი ჩემია) როგორ მოგწონთ, თურმე აღნიშნული საკითხები არ არის დაკავშირებული მარქს-ენგელსის ეროვნული პოლიტიკის გაგებასთან და „არ შეადგენს ჩვენი პოლემიკის საგანს“? სწორედ ამ კითხვების გარკვევაზედ არის უმთავრესი სიმძიმე დაყრდნობილი და მათი გამოცნობა იძლევა შესაძლებლობას დანარჩენი სხვა კითხვების გაგებისათვის. ოპონენტი შეგნებულად გვერდს უვლის ამ ძირითად კითხვების გაგება-განმარტებას და არ გვაძლევს მის შესახებ თავის გარკვეულ შეხედულებას. (ან შეიძლება იგი გვეთანხმება ჩვენ?) ეს კი მეტად სახიფათო გზა არის პოლემიკისათვის: თუ მარქსის აზრით პროლეტარიატს არ აქვს სამშობლო და არც შეიძლება იგი (სამშობლო) „შეიძინოს მან მომავალში, აქედან უკვე მარქს-ენგელსის პოლიტიკას გარკვეული იქნება ეროვნულ საკითხში: იგი ებრძვის ერებსა და პროლეტარიატს უპირისპირებს მას, როგორც მის მოწინააღმდეგე ძალას. ამიტომ მივაქციე მე დიდი ყურადღება ამ კითხვებს. ამაღლობელი კი სდგას მათს შესახებ და „მუნჯური მეთოდით“ ცდილობს ფონს გასვლას.

დასში შედიოდა აგრეთვე ქართულ სცენის დამსახურებული მსახიობი შალვა ხონელი, დოდო ძნელაძე, აკაკი ღლონტი და სხვ.

ვასო ურუშაძე ამ კომედიურ რეპერტუარში, რომელიც ამ სეზონში გათამაშდა, თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ის ოხუნჯობის მართლაც დაუშრეტელი წყაროა.

მარო მდივანზე მრავალწლოვან სასცენო მოღვაწეობას ვერ მოუხდენია ჩვეულებრივი გამანადგურებელი გავლენა. მთელი სეზონის განმავლობაში მას ახასიათებდა თითქმის ბავშური გატაცებული მუშაობა. გრაცია და მიმიკა ისევ შეუდარებელი შერჩენია.

მეორე მსახიობი დუდუ ძნელაძე აგარაკის საუკეთესო(?) მსახიობად ითვლებოდა. ყველა მის გამოსვლებს აჩნდა საკმაოდ ძლიერი სცენიური კულტურის დაღი. განსაკუთრებით ალსანიშნავია მისი მიმიკა. ამ მსახიობს ისე აქვს დაგეშილი სახის თვითოეული კუნთი, რომ სულის თვითოეულ მოძრაობას შეუდარებელის სისწორით გადმოგვცემს. მას არა მარტო სცენაზე, არამედ ეკრანზეც დიდი მომავალი აქვს, თუ თავს ყურადღებას მიაქცევს და საზოგადოებრივ ყურადღებასაც არ იქნება მოკლებული. მსახიობი შალვა ხონელიც საზოგადოების ცოცხალი სიმპატიებით სარგებლობდა. მისი ნელთბილი იუმორი, რალაც სადა თალხი, თითქოს უმი იუმორი ალფრთოვანებას იწვევდა მაყურებლებში. გამოირჩეოდა ცოცხალი ტემპერამენტით და კარგი ხმით ახალგაზრდა მსახიობი აკაკი ღლონტი. საერთოდ საზოგადოებაზე ყველა წარმომადგენელმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და სეზონმა ღირსეულად დააბოლოვა მუშაო სიო ჭანტურიშვილის დრამის „ბურუსი"-ს დადგმით.

პიესა მწყობრად ჩატარდა, ensambl-ი სრული იყო. ამ დადგმამ ხალისიანად და მხატვრულად დააბოლავა დასის სასეზონო მოღვაწეობა, რომელიც დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვდა ობიექტიურ ხელშემშლელ პირობათა გამო.

ს. ჭეიშვილი.

(შემდეგი იქნება).

## ქრონიკა

**აისედორა დუნკანის გასტროლებისათვის.**

ნიჭიერი მოცეკვავე, აისედორა დუნკანი ჭეშმარიტად პირველ რევოლიუციონერად უნდა ჩაითვალოს ხორეო-გრაფიის დარგში. მიუხედავად სასტიკი კრიტიკისა და არა კეთილ მოსურნე პირთა აზრებისა, ნიჭიერი ამერიკელი ქალი გაჰყვა ახალ გზას ხსენებულ დარგში. ძველი კულტურული ერების (ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები და ასირიელები) მსგავსად, მან შექმნა ადამიანის სხეულის სილამაზის კულტი.

აისედორა დუნკანის ახალი სკოლის გავლენით, კლასიკური ბალეტი, რომელიც დიდხანს ბატონობდა ევროპისა და ამერიკის სცენებზედ, **ისტორიას ჩაბარდა** და ადგილი დაუთმო ხორეოგრაფიის ახალ მიმართულებას.

რასაკვირველია, კლასიკურ ბალეტს აქვს თავისი დამსახურება; იგი დიდხანს ემსახურებოდა სილამაზისა და პლასტიკის იდეას. კლასიკური ბალეტის ისეთ ქურუმებს, როგორიც იყვნენ ტალიონი, ფანი ელსნერი, ისტომინისა, ხოლო ბოლოს დროს პავლოვისა, კსეშინსკისა და სხვ., ვერ დაივიწყებს ვერც ერთი საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემელი. ზოგიერთ მათგანს კიდეც შეასხეს მგოსნებმა ხოტბა, მაგრამ ბოლო დროს ახალი სკოლა, რომლის მამამთავრათაც უნდა ჩაითვალოს აისედორა დუნკანი, რაც დრო გადის იმდენ მეტ მოქალაქობრივ უფლებებს ჰპოულობს.

აისედორა დუნკანის მიმდევრები არიან: პეტერბურგში—სახელმწიფო ოპერის ბალეტმეისტერი ფოკინი, მოსკოვში—მორდკინი და ტფილისში—აზარაპეტიანი. ყველა ესენი სცდილობენ (და არც უშედეგოდ) დაამტკიცონ, რომ ცეკვა უნდა იყოს ენა არა მარტო ფეხებისა, არამედ მთელი სხეულისა და უმთავრესად პირისახისა (მიმიკა). ახალი სკოლა აღარ კმაყოფილდება უბრალო საცეკვაო ნომრების შესრულებით, ახალი სკოლის მიმდევართ ცეკვაში გადააქვთ საფორტეპიანო ლიტერატურის (ვალსები, ნოქტიურნები, პრელუდიები შოპენისა, რახმანინოვისა) და სიმფონიური მუსიკის (მაგ. ჩაიკოვსკის სიმფონია) სერიოზული ნაწარმოებნი.

უმთავრესად აი ამიტომ, აისედორა დუნკანის საღამოები წარმოადგენენ დიდ ინტერესს.

პ. ბებუთოვი.

## წერილი რედაქციის მიმართ

### საბრალო LUX—ი

რალაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია?

შოთა.

გაზ. „კომუნისტის" № 214 მოთავსებულია წერილი ვინმე Lux—სა: „ვინ არის მართალი?" ეს განმეორება გახლავთ თ. ჩ—ნაიას შესახებ კასიოს მიერ წამოყენებულ „ბრალდებებისა", იმ განსხვავებით, რომ აქ „ბრალდებები" უფრო კონკრეტულათაა „წამოყენებული" და „ურყევი" დოკუმენტებით „დადასტურებულია". თუ რამდენად მართლა ურყევი დოკუმენტებთან გვქონდა საქმე ამას მკითხველი დაინახავდა თ. ჩ—ნაიას მიერ გამოქვეყნებული პასუხიდან გაზ. „ტრიბუნის" № 576,—რომლის ძალითაც სასამართლოში უკვე აღძრულ საქმეს მოქ. „კასიოს" შესახებ Lux—ის საქმეც მიეკიძა.

Lux-ის წერილში იმდენად ბრალდებები არ მაინტერესებს, რამდენათაც იქ გახსენებული ერთი ამბავი, რომელიც იარათ მაჩნია გულზე, სახელდობრ: В. Кин-ის ამბავი.— Lux-ი სწერს: „ჯერ კიდევ ივლისში გაზეთ „Труд. Бат."-ის № 146 ნუმერში ჩიქვანაიას აფიორის შესახებ მოთავსებული იქნა წერილი, (ანალოგიური წერილი გამოქვეყნდა აგრეთვე გაზ. „რაბოჩაია პრავდაში" აგრეთვე В. кин-ისა) რომელშიაც ავტორი В. Кин-ი ნათელს ფენდა გაზ. „მწვერვალის" ქვეშ ამოფარებულ კომბინატორ ჩიქვანაიას ქვენაზრახვებს"... და შემდეგ **ეკითხება**: „სად იყავით მაშინ, როდესაც აფიორაში ბრალი „Труд, Бат.-აც დაგდოთო"?

როცა Lux-ი კითხულობს: სად იყავიო, უნდა მოვახსენოთ, რომ თ. ჩიქვანაია, როგორც მე და თვითონ Lux-ი, ბათომში გახლდათ.—ვფიქრობ Lux-ი მეტად ახლოს უნდა იდგეს გაზეთის საქმესთან, რომ ასე დაწვრილებით იცის, რომ სად, რომელ ნუმერში რა იბეჭდებოდა.—მაგრამ ამ ჟამად ეს კი არ მაინტერესებს, არამედ ის რომ Lux სმა განგებ ხელი დააფარა ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ... დანელს დანიაში არ ეცხოვრება! განა Lux-მა თვითონვე კარგად არ უწყის Н. Кин-ის საბედისწერო წერილზე პასუხის გაცემას რამდენი ომი მოჰყვა? განა მან არ იცის, რომ არც გაზ. „Труд. Бат." და არც „პროლეტ. ბრძოლამ" არ დაიცვეს უბრალო ლიტერატორული ეთიკა და ჩიქვანიას პასუხს ადგილი არ მისცეს? განა ამიტომ არ იყო, რომ საზოგადოებაში კინწნაკრავ ჩიქვანაიას შესახებ მხოლოდ ცალმხრივი ამბავით განგაშობდნენ? და ეს მაშინ, როდესაც ჩიქვანაიას პასუხის დასტამბვას შუამდგომლობდა თვით პარტკომის მდივანი ამხ. გ. რამიშვილი! ახლა კი Lux-ი გადმომდგარა და თავხედურად გაიძახის: „სად იყავითო"?! მაშ იცოდეს Lux-სმა,—თუ კი ეს არ იცის,—რომ ჩიქვანაია მართლაც „დანიაში" გახლდათ...

შეიძლებოდა თქვენი ცნობის მოყვარეობა ამ უბრალო განმარტებით დამეკმაყოფილებინა, მაგრამ ის ამბავი, რომელსაც В. Кин-ი ეხებოდა „Труд. Бат."-მში და სიტყვით—სიტყვამდე გაიმეორა „Рабоч. Правда"-ში, იმდენად საზოგადოებრივ მნიშვნელობისაა, რომ არ შემიძლიან დავსდუმდე.

ჩვენი საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს უკვე მოეხსენება, რომ ბათომში გამოდიოდა სალიტერატურო გაზ. „მწვერვალი", რომელიც თავის თავს თვითონ ასაზრდოებდა უსუბსიდიოთ. მე-9 ნომერი ჩავარდა და რედაქცია საგრძნობლად დავალიანდა.—საქმის გამოსასწორებლად გამომცემლობამ გადასწყვიტა სალიტერატ. საღამო გაემართნა.—თემად აიღეს: „ქართველი ქალის" გასამართლება; მომხსენებლად გამოდიოდა კ. კაპანელი, მოპასუხეებად კი დ. კასრაძე, ს. გერსამია, ან. ბებურიშვილი და სხ...

სალიტ. სასამართლოს ხელმძღვანელებად მოწვეულნი იყვნენ: ამხ. გ. რამიშვილი და პრ. ვაჩაძე.—სალიტერატურო დღის გასამართად არჩეული იქნა ა. წ. 29 ივნისი პარასკევი.—თეატრის დირექციასთან მოლაპარაკების დროს აღმოჩნდა, რომ ეს დღე არ შეიძლებოდა აგვეღო, ვინაიდან „დეპეშით უკვე დაკავებულია მოსკოვ. ს სამხატვრო სტუდიელების (მხატის) მიერო". ჩვენ ვსთხოვეთ სამშაბათი (3 ივლისი) მაინც დაეთმოთ, მაგრამ მათ მიგვითითეს შაბათზე, რომელიც ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანი დღეა ბათომში ზაფხულობით;—რაკილა სხვა გასაქანი არ იყო ჩვენც დავთანხმდით.—ფორმალურ მხარის დასაცავად ჩვენ ვეახელით სახალხო განათ. კომისარს სედად-რეშადს, რომ ნება დაერთო ჩვენი გაზეთის სასარგებლოდ გაგვემართნა სალიტ. საღამო.—კომისარი თანაგრძნობით შეგვხდა და შეგვპირდა კიდეც სათეატრო ხარჯების შემცირებას.—დრო დაყოვნებას არ მოითხოვდა და პარასკევსვე დილით, 29 ივნისს, სათანადო აფიშები გამოკრულ იქნა.—ამასობაში ჩამოვიდნენ სტუდიელებიც.

არ გამართლდა, რომ ისინი ერთი გასტროლით კმაყოფილდებოდნენ. გამოდგა, რომ მათთვის საჭირო იყო შაბათიც და კვირაც. თეატრის დირექტორმა დაგვიბარა და მიგვითითა სამშაბათზე.—3 ივლისი), ჩვენ უარი უთხარით, რადგანაც ხარჯები გაწეული გვქონდა.—გარდა ამისა „ქართველი ქალის გასამართლება" რაღაც საბედისწერო გამოდგა: ქ. ბათომში იგი ეს მეხუთეჯერ უნდა გადადებულიყო, რაიც საზოგადოებას სრულებით დააფრთხობდა და.... დააფრთხო კიდეც!

ამიტომ კატეგორიულად უარი უთხარით და ენერგიულად განვაგრძნობდით საღამოსთვის სამზადისს.—

გათენდა შაბათი. ეს დღე საკალენდრო დღეთ იქცა მრავალ სამწუხარო კურიოზების გამო. „მხატის" წარმომადგენელნი დაჟინებით გვექადებოდნენ, **რომ ეს დღე მაინც მათი იქნებოდა!** ხელთათმანი გადმოგდებული იქნა. ჩვენს თანადაუსწრებლივ თეატრის დირექტორ კ. მაჭარაძესთან ერთად მისულან განათლების კომისარ სედად-რეშადთან და ჩვენზე დათმობილი დღე მოეხსევინებინათ.—ახლა ეს კომისარი უკვე გადაყენებულია.

თუ რა წონის ადამიანი იყო იგი ამ პატარა საკომედიო ამბიდან [illegible]

თუ წინა დღით ჩვენ დაგვითმო შაბათი დღე—30 ივნისი,—შაბათს 12 [illegible] დღე მოსკოველებს. ასეთი უმართლო განკარგულება და ჩვენზე მონიჭებულ უფლებათა დარღვევა ვაუწყეთ პარტკომის მდივან გ. რამიშვილს და ვსთხოვეთ, რომ საკითხი პრინციპიალურად დაეყენებინა, რათა აშკარა ძალმომრეობას პოლიტიკური ხასიათი არ მისცემოდა.

ჩვენი უფლებების აღდგენა მით უფრო სამართლიანი მოთხოვნა აყო, რომ „მხატს" მეორე—რკინის თეატრში შეეძლო გაემართა თავისი სპექტაკლი, ჩვენ კი დრო აღარ გვრჩებოდა საზოგადოების გასაფრთხილებლად.—საჩივარმა გასჭრა, ამხ. გ. რამიშვილი ტელეფონით დაელაპარაკა სედად-რეშადს და სამ საათზე ჩვენ უკვე უფლება აღდგენილი გამოველით.

საღამოს შვიდი საათია. ქუჩაში გავდივართ და ვხედავთ, რომ ჩვენს აფიშებზე წაუკრავთ პლაკატები; „ნაცვლად 30 ივნისისა, შაბათი" სწერია: „სამი ივლისი,—სამშაბათი".—ამ ამბავმა საშინლა შეურაცხჰყო არა ჩვენი პირადი თავმოყვარეობა არამედ ეროვნულიც: როგორ, ყველა იმის შემდეგ რაც მოხთა, კიდევ ასეთი ძალადობა?! ვინ გააკვრევინა პლაკატები? ვისი ბრძანებით? ან რატომ არ გაგვაფრთხილეს, რომ ასე იქცეოდნენ? გამოირკვა, რომ ეს მომხთარა იმავე სედად-რეშადის განკარგულებით საღამოს ექვს საათზე.

თქმა არ უნდა შეუძლებელი იყო უფლებების აღდგენაზე ფიქრი, ჩვენ დავმარცხდით... მაგრამ დავმარცხდით? ახლა ჩვენი გულის ტკივილი გაწეული ხარჯები კი არ იყო, არამედ წუხილი: რად? რისთვის? როდემდის?

აი ეს ამბავი თავისებურად გააშუქა В. Кин-მა და რედაქციებმა კი საშუალება არ მისცეს თ. ჩიქვანაიას, როგორც საღამოს მოწყობის ინიციატორს, სათანადო პასუხი გაეცა. თავხედობა В. Кин-ისა იქამდისაც კი მივიდა, რომ ქართულ სალიტერატურო ორგანოს „Лавочка" უწოდა! არის ეს უტიფრობა, უკმეხობა, თუ განზრახ ველიკორუსული ყოყლოჩინობა, რომ ყველა არა რუსულ ორგანოში მხოლოდ „Лавка" დაინახოს?! ანდა იქნებ ის უნდა ვიფიქროთ, რომ В. Кин-ი სადმე „Лавочка"-შია აღზრდილი და ალბად იმიტომაა, რომ ყველგან „Лавочка" ელანდება.

თქმა არ უნდა ასეთ კადნიერებაზე საჭირო იყო პასუხი, პასუხი მკაცრი და В. Кин-ისათვის შესაფერი.

პასუხიც დაიწერა მეტათ აკადემიური კილოთი.—აი ახლაც წინ მიდევს ეს წერილი დიდის მზრუნველობით დაწერილი და ვეკითხები ჩემს თავს: რად ხდება ასე, რომ ესდენ უსამართლო ბრალდებას გვიყენებდნენ და პავჩინსკები კი არ გაძლევდნენ საშუალებას თუნდა ასეთი მოკრძალებული პასუხი გაეცე, როგორიც ახლა მე წინ მიდევს?! განა ეს არ მოეხსენებოდა lux-ს? და თუ იცის, რატომ განზრახ იბრმავებს თვალებს და გვეკითხება. „სად იყავითო?" განა გვათქმევინეს და ხმა არ ამოვიღეთ?

საბრალო lux-ი! ნეტავ თუ შეიგნებს, რომ В. Kin-ის მიერ მოყენებული შეურაცხყოფა—შეურაცხყოფა იყო არა მარტო ჩიქვანიასი, არამედ სამართლიანობის და ჩვენი ეროვნული კულტურის.

„მწვერვალის" რედაქტორი: დ. კასრაძე.

P. S. მოქ. lux-სს, სხვათა შორის: იმავე წერილში მოყვანილი აქვს რუსულ ენაზე სამი დოკუმენტი, რომლებიც ჩემს სახელზეა მომართული. მეინტერესება ვიცოდე, როგორ მოხდა, რომ ჩემზე ადრე lux-ს მიუღია ეს „დოკუმენტი"? მისამართი ხომ არ შეეშალათ? ანდა იქნებ lux-ი ფოსტის ყუთია. თუ ასეა, ვიდრე „კომუნისტი" მიაწოდებდა ამ დოკუმენტებს, მოვალე იყო ჩემთან გამოეგზავნა, ვინაიდან ჩემი მისამართი „კომუნისტის" რედაქციაში ხომ არაა?

წერილი დამთავრებული მქონდა, რომ „კომ." № 218 წავიკითხე lux-ის მორიგი წერილი ჩიქვანაიას საპასუხოდ. ამ წერილში ახალი არა თქმულა რა გარდა იმისა რაც უკვე მე თვითონ განვაცხადე: „მე-9 ნუმერი არ გამოსულაო"—და განა ამის გამო იყო დავა? თქვენ ის ბრძანეთ გაამათილა თუ არა ჩიქვანიამ თქვენ მიერ მოყვანილი „საბუთები", ვითომც მას განცხადებათა საფასური აელო და თვით განცხადებები კი არ დაებეჭდოს? თქვენ ამაზე დასდუმდით, სჩანს ჩეხოვის არ იყოს „что—то не благополучно в вашем доме"!

არც ისაა კარგი ეს მეათასეჯერ მეორება ვითომც აღებული ფული თ. ჩიქვანაიამ „რაღაც სხვა საქმეზე" მოიხმარა.—ბრძანეთ, გვითხარით, რას ჰქვიან ამ „რაღაცას"? არის ეს შეთქმულობა, ყაჩაღობა, თუ სხვა რამ? ამ „რაღაცას" პირდაპირ ასე სჭირია,—ისიც კი გვეზიზღება, რომ სისხლის სამართლის ბრალდებას უყენებთ ადამიანს და მხდალსავით ფსევდონიმებს ეფარებით: ეს „კასიო", ის „იაგო", აქ „lux", იქ „კ. მარტვილელი"... რად საჭიროა ყველა ეს? მართალ ადამიანს პირდაპირ თვალში უყვარს შეხედვა.

დ. კ.

ასეთია ჩვენი „წესიერი" ოპონენტი და მისი პირველი მეტად **მოხდენილი ხრიკი**, რომ თავი დააღწიოს მთავარ საკითხებზე პირდაპირ პასუხის გაცემას. მაგრამ მისი მეთოდები მარტო ამით არ ამოიწურება და გამოლმა მედავება, რომ გალმა დარჩეს გამარჯვებული. იგი არ ზოგავს სიტყვებს, ძალასა და ენერგიას, რომ დაამციროს ჩემი პიროვნება, არ ერიდება არავითარ ხერხს გადაამახინჯოს ჩემი დებულებები, წინადადებები **თავის ნებაზე** და ამ გვარი სახით დაუპირისპიროს ერთი მეორეს. იშვიათად არის ციტატა ამოწერილი ჩემი ფელეტონებიდან, რომელსაც თავი არ აკლდეს, ან შუა ადგილი, ან ბოლო, ან და კიდევ სრულიად მისი საწინააღმდეგო კომენტარიები არ ჰქონდეს გაკეთებული.

ვარწმუნებ ჩემს ოპონენტს, რომ ასეთი ყალთაბანდური მეთოდით იგი ფონს ვერ გავა ვერასოდეს. მან უნდა შეიგნოს, რომ საკამათო საკითხისა და სხვისი დებულებების დამახინჯებით ჭეშმარიტების გამორკვევა შეუძლებელია და არც ერთი ჰკუათმყოფელი კაცი არ მოიწონებს ასეთ ხერხს.

როგორც დამახასიათებელ ნიმუშს ჩვენ ამ ფელეტონში კიდევ მოვიყვანთ ორ ადგილს ამაღლობელის „მსჯელობიდან", სადაც ნათლად წარმოდგენას იქონიებს მკითხველი მისი კამათის ხერხების შესახებ.

მე ვსწერდი ამაღლობელის წერილების შესახებ: „ამ წერილებში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ წინადადებას, ვერც ერთ მწკარს, ვერც ერთ სიტყვას, რომელშიაც აღნიშნული იყოს მარქს-ენგელსისა და მისი მიმდევრების, დღევანდელი კომუნისტების ეროვნული პროგრამის შესახებ დადებითი მხარე. **თავიდან ბოლომდე ჩემი ოპონენტის წერილი უარყოფითად ახასიათებს მარქსა და მის მიმდევრებს ეროვნულ საკითხში**". (№ 485 კურსივი ახალია ს. დ.) ცოტა ქვევით დავასკვნიდი: „მაგრამ ასეთი მსჯელობა აბსურდია თავის თავად და ყალბი კრიტიკული ანალიზის მიხედვით". (იქვე). ამაღლობელი ამოწერს ამ ციტატებს, ხოლო პირველ ციტატიდან ჩემ მიერ ახლა ხაზგასმულ სიტყვებს უმალავს მკითხველს, და შემდეგი სოფისტიკით მიმასპინძლდება: „ამხ. სან-დონო, აბსურდი შეიძლება იყოს ის, რაც არის; რაც არ არის, ის არც აბსურდია და არც სიბრძნე. **თუ მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს, მაშასადამე არც აბსურდი მითქვამს. ხოლო რადგან თქვენ არაფერს** აბსურდს ეძახით, ეს კი მართლაც დიდი აბსურდია". (№ 524 კურსივი ჩემია ს. დ.) დაკვირვებული მკითხველი თვითონ შეამჩნევს მთელს იმ ყალთაბინდობას, რომელსაც მიმართავს მსჯელობის დროს ოპონენტი. მე ვსწერ: ვერ ნახავთ (ამაღლობელის წერილში) ვერც ერთ სიტყვას, რომელშიც აღნიშნული, იყოს... **დადებითი მხარე**... მეორე წინადადებაში, რომელიც დაუმალა ჩემმა მეტად „წესიერმა" ოპონენტმა თავის მკითხველს, აღნიშნულია, რომ ამაღლობელის წერილი თავიდან ბოლომდე **უარყოფითად ახასიათებს** და სხვა. ამის შემდეგ გამომდგარა და სოფისტიკით უბნევს გზა-კვალს მკითხველს, თითქოს მე მეთქვას **„არაფერი არ უთქვამს"** მეთქი: **არ გითქვამს დადებითი არც ერთი სიტყვა, სთქვი უარყოფითი**. ეს გარკვევით არის აღნიშნული ჩემს სიტყვებში და როდესაც ასე ამახინჯებთ აზრს ამას შეუძლია, სწორედ აბსურრამდე მიიყვანოს მსჯელობა და მკითხველს აურიოს გზა-კვალი. ეს არის თქვენი მიზანი?

ჩავყვეთ ქვევით. ამაღლობელი სწერს: „ამხ. სან-დონი **მიკიჟინებს**, რომ ვითომც უარვყოფდე იმ აზრს, რომ **რაიმე აზრი ქონდეს** მარქს-ენგელს ნაციონალურ საკითხის შესახებ № (524) კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარი ამის მსგავსი არც მითქვამს და არც „მიკიჟინებია" ჩემი ოპონენტისათვის. მაგრამ ეს სიყალბე მას დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენში კარგად ცნობილ სოლომონ ზურგიელიძის სკოლიდან ნასესხები სიბრძნით შევემკე; ავტორი დასძენს: „ამხ. სან-დონო, როდესაც მოგახსენებდით, რომ მარქს-ენგელსისათვის ნაციონალური საკითხი ტაქტიკის საკითხია მეთქი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მათთვის ეს საკითხი არსებულა. რადგან, რომ არ არსებულიყო ხომ არ შეიძლებოდა ტაქტიკის საკითხად მიეჩნიათ, რაც არ არსებობს ის არაფრისთვის (?) არ არსებობს ამხ. სან-დონო, ასეთი სიბრძნე ზურგიელიძესაც კი (და თქვენც მასთან ერთად ამაღლობელო. ს.-დ.) ესმოდა და ნუ თუ ეს ძნელი გასაგებია" (იქვე). ამხ. ამაღლობელი ისე ხშირად იხსენიებს ჭრიაშვილსა და ზურგიელიძეს, რომ მას უახლოესი კავშირი უნდა ჰქონდეს, ამაღლობელისაგან ამ მეტად პატივცემულ პირების სკოლასთან და მორალურ პრინციპებთან. მაგრამ ვერც ეს გარემოება ვერ იხსნის მას მისი ხრიკები მზის სინათლეზე იქნეს გამოტანილი და გამოაშკარავებული მთელი მისი ყალთაბანდობა.

რასაკვირველია, ჩემთვის გაუგებარი და პრობლემატიური დარჩება, თუ რა მოტივები უნდა ამოძრავებდეს პარტიულ პრესაში პარტიულ ამხანაგს ასე ამახინჯოს სხვისი დებულებები. ამას, ალბად უფრო ნათლად გამოარკვევს ამაღლობელი სოლომონ ზურგიელიძისა და გლახა ჭრიაშვილის კომპანიაში. დამილოცნია მათთან ყოფნა.

ზემოდ ჩვენ პატარა, უბრალო ნიმუშები მოვიყვანეთ იმისა, თუ როგორ ეპყრობა ამაღლობელი სხვის დებულებებსა და ციტატებს.

უფრო დამახასიათებელ სურათებს შემდეგ წერილებში გავაცნობ მკითხველს.

სან—დონი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა:** მე-4 რკ.-გზის მთლიანი შრომის სკოლის სრული კურსის დამთავრების მოწმობა ლადო [illegible]ონის-ძე ჭანიშვილის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად.